საქმე №3/4261-10

ფორმა №3-33

# სასამართლო სხდომის
# ო ქ მ ი

23 დეკემბერი 2010 წელი

ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

მოსამართლე ნანა დარასელია

სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი

მოსარჩელე – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა";
მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტრო;
მესამე პირი – შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"
დავის საგანი – ქმედების განხორციელების დავალდებულება;

სხდომა დაიწყო 17:00 საათზე. სხდომა დამთავარდა 17:10 საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს. სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ:
მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" დირექტორი – ნინო გუჯარაიძე;
მოსარჩელის წარმომადგენელი – ირმა მახათაძე (წარმოდგენილი რწმუნებულება ერთვის საქმეს);
მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი – სოფიო ახალაძე (მინდობილობა ერთვის საქმეს);
სხდომაზე არ გამოცხადდა:
მესამე პირი შპს „გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი

მათთვის დღევანდელი სხდომის შესახებ ცნობილი არ ყოფილა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მოსამართლე ამოწმებს პროცესზე გამოცხადებულ პირთა ვინაობას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.
მოსამართლე, თანახმად სსსკ-ის 214-ე მუხლისა აცხადებს, რომ საქმეს იხილავს მოსამართლე ნანა დარასელია, სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი და უმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.
მხარეებს მოსამართლის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეებს შუამდგომლობა არ აქვთ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე, 216-ე, 284-ე, 285-ე, მუხლებით და

ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. მესამე პირის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო მთავარი სხდომა გადაიდოს 2011 წლის 14 იანვარს 15:00 საათზე.

2. ეცნობოს მესამე პირს სხდომის დანიშვნის თარიღი და დრო.

3. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

სხდომა დაიხურა 17:10 საათზე.

მოსამართლე ნანა დარასელია

სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი